წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 3 ივნისი 1915 წ. № 9

# საქართველო

ხელის მოწერა და [illegible] განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ეღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის" ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო" გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის" ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს" მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## სახალხო სახლი

პარასკევს, 5 ივნისს 1915 წ.

ნ. ჩხეიძის, ი. ზარდალიშვილის და ა. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

**ლეკის ქალი გულჯავარ**

ისტორიული დრამა 3 მოქმ. ა. ცაგარლისა

II

**ვაი ყოჩოს**

ფარსი 1 მოქ.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

ადგილების ფასი 1 მ.—20 კ. 10 კ-მდე. 4—2

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 3 ივნისს, 1915 წ. ნიკო კავსაძე გამართავს

**ქართულ კონცერტს**

ცნობილ მომღერალ სანდრო კავსაძის ლოტბარობით 4 ვაჟთა და კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის მონაწილეობით. პროგრამაში შედის საქართველოს ყველა კუთხის ახალი სიმღერები (იმერულიც).

სანდრო კავსაძე შეასრულებს სოლოებს: „ურმულს", „გადმიშვი მთაო" და პატარა კახიდან „დაიგვიანეს", სანდრო და ნიკო კავსაძენი შეასრულებენ დუეტს [illegible] ჯანდიერი და ნიკო კავსაძე შეასრულებენ დუეტს „ბერი კა-[illegible] სანდრო და ნიკო კავსაძენი, ი. ფხალაძე და [illegible] კვარტეტს „სალამ გიძლვენი". მეოთხე განყოფილებაში დასურათებული იქნება სცენა სოფლის ცხოვრებიდან: „**დღეობა სიმღერა-თამაშით**". ბოლოს დიდი ფერხული და სათამაშო. ბილეთები იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

დასაწყისი სრულ საღამოს 8 საათზე. გამგე ნ. კავსაძე.

## „ახალი კლუბის" მამასახლის. საბჭო

აცხადებს, რომ 1 ივლისისათვის დანიშნული კლუბის გადასვლა საზაფხულო შენობაში არ მოხდება მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის, ფლიგელ-ადიუტანტის თ-დ კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონის დაკრძალვის გამო.

კლუბის საზაფხულო შენობაში გადასვლის დღე ცალკე გამოცხადდება.

დღეს, საღამოს ხუთ საათზე,

**გაიხსნება** თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების

## ბაზარი „ძმური ნუგეში"

დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ

გოლოვინის პროსპექტი № 16, „პალას-ოტელის" პირდაპირ

## ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს" რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა.

—უ—

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში. ვისაც განმეორებითი გამოცდა ექმნება, შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. (10—უ—2)

კბილის ექიმი ქალი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩ 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოკტორი მედიცინისა

მისე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ოლღას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა

ძ. ბორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

## თბილისი, 3 ივნისი.

**მრეწველობა და ომი.**

დღეს ჩვენს მორიგ ნომერში მოთავსებული გვაქვს წერილი რუსეთის მრეწველთა მორიგი კრების გამო. ეხლა კრება უკვე დახურულია. მან თავის პროფესიონული პროგრამის შესრულება ვერ მოასწრო, ვინაიდან პროგრამა იგი გვიან, მაგრამ დროით მაინც დაექვემდებარა მომენტის განსაკუთრებულ კარნახს. ეს კარნახი კი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველისფერი დაუქვემდებარონ სამხედრო მრეწველობის ცენტრალურ კომიტეტს. საქმე ახლა ის არის, ამ განზრახვას რამდენად სწრაფად აქცევენ საქმედ. თქმა არ უნდა, თვითეული დღე მისი დაგვიანებისა გამოიწვევს რუსეთის მდგომარეობის გართულებას. ამ მხრით გერმანიას ალღომ არ უღალატა და თითქმის ერთ თვეში დღიდან ომის გამოცხადებისა ყოველი ქარხანა, ყოველი ფაბრიკა და უბრალო სახელოსნოც კი რკინეულობისა, ქვა-ნახშირისა, საქსოვი, საველოსიპედო, საფოტოგრაფიო, გასანათებელი, ქიმიური, საფაბრიკეტო, თვით პიანინოს ქარხნებიც კი სამხედრო მოქმედებას დაუქვემდებარა. მართალია, სახელმწიფო შემოსავალი იკლო, მაგრამ რას ნიშნავს ეს დანაკლისი იმ დიად სარგებლობასთან, რასაც შესძლევა ერთსულოვანმა საქმიანობამ და მოძრაობამ ომს. განა ამ ერთსულოვნებამ არ შეჰქმნა ის კოლოსალური სიმტკიცე, რის გამოც შემოც მოკავშირენი ესოდენ ფარ-შუბს ამსხვრევენ? რაც განიცადა კერძოდ რუსეთმა ამ ხნის განმავლობაში, ყოველისფერს აღემატება. სიმწვავე ამ განცდისა ყველას ისარსავით მოჰხვდათ გულში და აჰა, მრეწველთა კრებაზე დაბეჯითებით მოითხოვენ, სიტყვებზე დროს ნულარ დავკარგავთ და პირდაპირ მოქმედებაზე გადავიდეთო! „მოქმედება, საქმიანობა!" ეს ამოძახილი რუსეთის მკერდიდან დღეს ელვასავით [illegible] იმპერიის ყოველ კუთხეს. „ყოველისფერი ომისთვის და ყველა მისი სამსხვერპლოსათვის",—აი უკანასკნელი დევიზი რუსეთისა, აი საით იხრება [illegible] მისი ყურადღების ისარი.

ჩვენ მეტად მიგვაჩნია მკითხველი ამ დევიზის განმარტებაზე შევაჩეროთ: სიცხადეს კომენტარიები არ სჭირდება. ჩვენი სურვილი იყო ქართველთა ყურადღება ისევ ჩვენს სამშობლოს მდგომარეობაზე მიგვექცია, რაც ჩვენთა [illegible]

[illegible] ცით ზერელედ, გარეგნულად, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, მაინც რანაირი გავლენა იქონია ომმა ხალხის შემეცნებაზე. ინტელიგენცია მოწყვეტილია ხალხის გულს. ხშირად გაისმის ცდილობის ხმა რომ შევქმნათ ჩვენ ხალხის ცენტრალურ აზროვნების სუროგატი, მაგრამ რეალურად ცდა მხოლოდ სიტყვებში გამოიხატებოდა და მხოლოდ გაზეთის კეთილ სურვილებად რჩებოდა. ეხლა დროა, ჩვენც პირისპირ შევხედოთ ჩვენი ერის წუხილს. ჩვენ ისე პატარა ერი ვართ, ჩვენი მდგომარეობა ისე მარტივია, რომ რუსეთისავით, ანუ დიდ ევროპასავით ჩვენ ვერ ვიფიქრებთ ქარხნების ბორბლის შეტრიალებას, ანუ არ არესბულ მრეწველობის მობილიზაციას. დიდი საქმე, რაც მორიგ საკითხად შეგვიძლიან წამოვაყენოთ, გახლავთ ის, რომ ხორბლისა და სიმინდის შემზადება მაინც მოვახერხოთ, რათა შინ დატოვებულ უპატრონო სახლ კარს შიმშილის აჩრდილი ავაცილოთ. ჩვენს ერს არ სჭირია მყვირალა მანიფესტაციების გამართვა, ანუ ისტორიული კრებები, ისტორიული სიტყვები, არამედ ჩვენი tour de force ჩვენს ისტორიულ საქმიანობაში უნდა გამოიხატოს და ეს საქმიანობა ჩვენი ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის რაოდენადმე უზრუნველ ყოფას უნდა დასტრიალებდეს.

## ზ ა ა ს ი

V.

**პატარა აჭარელი.**

„სახალხო ფურცლის" 52 ნომერში დახატულია სურათი პატარა აჭარელისა. სიტურფე, სინაზე ბავშვისა საოცარია. უცქერი ამ მალხაზ ჩიტუნიას და თვალს ვერ აშორებ. სიმალხაზე და სიცოცხლე გადმოსჩქეფს მის მშვენიერ თვალთაგან. ღმერთო, რა ხელმა გააჩინა ასეთი მშვენიერი ერი!

ვერც ევროპა და ვერც აზია მაინც და მაინც ვერ დაიტრაბახებს ერის გარეგან ფიზიკურ სილამაზით, იერით და ტანის მოყვანილობით. მართალია, ევროპაში და აზიაშიც მოიპოვება ლამაზი, შნო და ლაზათიანი ერები, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება იმ სიტურფეს, რასაც გვაძლევს პატარა აჭარელის სურათი. თვალის ჩინივით გაუფრთხილდებოდა ძველი ევროპა, თუ-კი ბედი არგუნებდა მას იმისთანა კუთხეს, როგორიცაა სამშობლო პატარა აჭარლისა.

ჩვენ-კი, ქართველებმა, ვერ გამოვიყენეთ სიუხვე ბედისა, ვერ ვისარგებლეთ მითი. ხეპრულმა ძალამ მოსწყვიტა სამშობლოს ეს მშვენიერი კუთხე და თითქმის ორასი წლის განმავლობაში ნაცარტუტას აყრიდა ლამაზ ქვეყანას და მის ლამაზ მკვიდრსა. ნელ-ნელა ვერანდებოდა სულიერად აჭარა, ეს ერთად-ერთი კარი საქართველოსი ღია ზღვისაკენ, რომელსაც მიჰყავდით განათლების წყაროს სათავისაკენ.

1877—1878 წლებში თითქოს ბედმა გაგვიღიმა. ხმლით მოწყვეტილი კუთხე ხმლისავე ძალამ დაგვიბრუნა. სამწუხაროდ ვერც ახლა გამოვიყენეთ ჩვენდა საკეთილოდ ბედის ჩარხის ტრიალი. აჭარის დიდმა ნაწილმა იხუვლა და სხვაგან გადიკარგა. ვერც მისი გული მოვინადირეთ, ვინც შინ დარჩა.

ომის შემდეგ თბილისს ესტუმრა აჭარის მთავარი შერიფ ფაშა ხიმშიაშვილი, გამოწყობილი რუსის გენერლის მუნდირში. „ჩვენებურად, ქართველურად" დიდის პატივით და ზეიმით დაუხვდით განსვენებულ მთავარს და გენერალს. უნდა გენახათ, რა სიხარულს განიცდიდა პეტრე უმიკაშვილი, ეს ტკბილი და უწყინარი კაცი. ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედა-მიწა ქალამნად. დაკარგული ძმები ვიპოვნეთ და დღეიდან ვინღა განგვაშორებს ერთმანეთსო, ამბობდა ბედნიერი პეტრე.

უმიკაშვილის ოცნება არ განხორციელდა. [illegible] მაზარი კედელი აეშენდა, ვერ იქნა ვერ შევარღვიეთ ეს კედელი, ვერც ხვრელი შევიტანეთ, ვერც თავზე მოვევლეთ. მხნედ რომ ვყოფილიყავით, ეგები დაგვერღვია იანოვსკის მიერ აყუდებული კედელი; მაგრამ ალბად სუსტი იერიშები მივქონდა და კედელი უვნებელი დარჩა.

ვერც ბათომს გაუფრთხილდით. აყვავდა იგი და უკვე აყვავებული ქალაქი, დედა-ბოძი აჭარისა, ჩვენისავე საკუთარის ხელით წავახდინეთ ისე საფუძვლიანად, რომ მის გამოცოცხლებას დიდი უნარი და მხნეობა დასჭირდება.

რაკი კედელს ვერ შევუვლით და ვერ გავაბით სულიერი ძაფი ჩვენსა და მათს შორის, დავრჩით ისე შორიდან მაყურებელნი, თითქოს ჩვენ და აჭარელნი ღვიძლი დაძმანი კი-არა, ვილაც უცხონი და გადამთიელნი ვიყვეთ.

თითქმის ორმოცი წელიწადი გაგრძელდა ასეთი უკუღმართი ვითარება. დადგა „დღენი განკითხვისანი" და დაიწყო საშინელი უბედურება. მეხი და სეტყვა მოევლინა მშვენიერს აჭარას და მის მალხაზ, ცქრიალა გოგო-ბიჭებს. ეგები ის ლამაზი აჭარელიც, რომლის სურათმაც ამოდენა სევდა აღგვიძრა და გული დაგვისერა, სადმე ხრამში ჰგდია, განგმირული ტყვიით, ან ბილწის ხელით წახრჩობილი და მის ლამაზ თვალებს ყვავყორანი სწიწკნის.

დღევანდელმა აჭარის უმაგალითო უბედურებამ დიდად მოუკლა გული ქართველ კაცს. იგრძნო ნამდვილი ტკივილი, სწორედ ისეთი, როგორსაც ჰგრძნობს დედა, როდესაც შვილს გულიდან სწყვეტენ და გაახილა თვალი. თვალხილულმა უცბად ყველაფერი დაინახა და შეუდგა საქმიანობას. საქმე ახლა იმაზეა მიმდგარი, გამოვიჩენთ ჯეროვან სარისტიანობას, დროზედ დავადებთ მალამოს აჭარის წყლულს, თუ ზოზინში და ლაყბობაში დავკარგავთ ძვირფას დროს. ეს იქნება ჩვენი პოლიტიკური ეგზამენი. თუ დავიჭირეთ ეგზამენი კარგად, ღირსი გავხდებით სხვის ყურადღებისა და ავმაღლდებით ჩვენსავე თვალში. ხოლო თუ „ჩავიჭერით" და ეგზამენზე „ერთი" მივიღეთ, [illegible] გაერთიანებისა! მადიანი მეზობელი, ან ვინმე შორეული სტუმარი თოხლო-კვერცხივით გადაჰყლაპავს ლამაზ აჭარას.

დღესვე გამოჩნდა ცუდი ნიშანი. ვიღაც არამკითხენი უკვე ზომავენ, რასაკვირველია ქაღალდზე, აჭარის მთა-ბარსა, ეს ჩვენ, ეს თქვენ და ეს კიდევ ამასაო...

დიდი უნარია საჭირო, რომ განიდევნონ ეს არამკითხე მოამბენი, ვითარ განდევნა მაცხოვარმა წმიდა ტაძრიდან ჩარჩნი და მკრეხელნი.

ა.—ლი.

## ომის დღიური

### მიმოხილვა

კოვნო-ლიბავის ხაზზე ბრძოლა არ ნელდება. აქ გერმანელთა ჯარი გაშლილია მდინარე ვინდავას ნაპირებზე და ლამობს მის გადალახვას. დაბა ლიაცკოვთან მათ დიდი ჯარი მოუგროვებიათ და უცდიათ ვინდავის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა, მაგრამ რუსის ჯარს მათი იერიშები მოუგერებია. სამაგიეროდ გერმანელებს ამ დაბის ქვემოდ მოუხერხებიათ მდინარის გადალახვა, თუმცა რუსებს აქაც შეუჩერებიათ მოპირდაპირე. შავლის მიდამოებში ბრძოლის ბედი ჯერ არ გამორკვეულა. ეტყობა აქ მეტად ცხარე ბრძოლა უნდა იყოს, რადგან სამი-ოთხი დღის წინათ რუსის ჯარი 10—15 ვერსის წინ იდგა შავლისგან, ეხლა კი ამ ქალაქს გერმანელები ზარბაზნებს უშენენ. დანარჩენ ფრონტზე მდინარე სანის შესართავამდე გერმანელებს დაწყებული შეტევა არ განუვითარებიათ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ პრასნიშის მიმართულება, სადაც 30 მაისს გერმანელებს ხელთ უგდიათ რუსების მოწინავე თხრილები, მაგრამ მეორე დღეს რუსის ჯარს თითქმის მთლად დაუბრუნებია წანართმევი.

გალიციაში მესამედ თუ მეოთხედ მეორდება ერთი და იგივე სურათი: ავსტრო-გერმანელები ორი-სამი დღით შეასუსტებენ ხოლმე იერიშებს, ამ დროს ერთგან ასუსტებენ ჯარს, სხვაგან აძლიერებენ და ისევ იწყობენ მედგარ შეტევას. 28 და 29 მაისს შესუსტებულმა ბრძოლამ 30 და 31-ს კვლავ იფეთქა ორკეცის ძალით. კარგა ხანია, რაც მდინარე ვიშნას ხაზიდან მოყოლებული ჩრდილოეთით, მდინარე სანის გაყოლებაზე ბრძოლა შესუსტდა. ოთხი დღის წინათ მოსცისკედან მოყოლებული პისკოროვიცამდე, რომელიც უჟაისკსა და სენიავას შუა მდებარეობს, ისევ მკაცრი ბრძოლა ატეხილა. აქ გერმანელთა ჯარი მჭიდრო წყობით წამოსულა მდინარე ლიუბაჩევკაზე, გადაულახავს იგი შესართავთან და მარჯვნივ დაუჭერია სოფელი ტუხლა, ხოლო მარცხნივ გასულა სენიავასთან, რომელიც ორიოდე კვირის წინათ კავკასიის კორპუსმა იგდო ხელში.

არაფერი ისმის შესახებ სტრიის მიმართულებისა, საიდანაც სამი მოკლე გზა მოდის ლვოვისაკენ. შეუძლებელია რომ ავსტრო-გერმანელებმა თავი დაანებონ ამ გზებს, ხოლო ჯერ ჯერობით რუსის ჯარის უკიდურეს მარცხენა წვერს აწვებიან, სადაც სოფელ ნიჟნიოვთან დაჟინებით ცდილობენ დნესტრზე გადმოსვლას. ბრძოლა გრძელდება ჟურავაზალეშჩიკის ხაზზე, სადაც ავსტრო-გერმანელები რამდენიმე დღის წინათ დნესტრის მარცხენა ნაპირას გადმოვიდნენ და წინ ილტვიან.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

**თბილისი.** 4 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 30 მაისს ოლთისის მხარეზე ჩვენმა ჯარებმა უკუაქციეს ოსმალნი, რომელნიც ცდილობდნენ იშხანის აღებას. ოლთი-ჩაისა და სევრიჩაის მიდამოებში ოსმალებმა რამდენჯერმე მოიტანეს იერიში ჩვენს ჯარებზე მაგრამ ყველა მათი ცდა უნაყოფო გამოდგა. 29 მაისს ჩვენებმა დაიჭირეს ქალაქი ახ-

ლატი. სხვაგან მდგომარეობა უცვლელია.

**პეტროგრადი.** 1 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. ვინდავაზე 31 მაისს მტერმა განმეორებით სცადა დიდძალი ჯარით შემოტევა ჩვენთვის, მაგრამ დიდი ზარალით უკუვაქციეთ. მტერმა ვერ მოახერხა ლიაცკოვის რაიონში შესვლა. ასევე შეკავებული იქმნა მტრის ჯარის ნაწილი, რომელიც ვინდავით სცდილობდა ხსენებულ პუნქტზე გამაგრებას. შავლთან ერთი პოზიციის დასაჭერად ორთავე მხარეს სასტიკად ვიბრძოდით. გამარჯვება ხელიდან ხელში გადადის. ნემანისა და ნარევის ფრონტზე, აგრეთვე ვისლის მარცხენა ნაპირზე, მტერს წინა დღით დაწყებული იერიშები აღარ განუვითარებია. პრასნიშის ჩრდილოეთით ენერგიული კონტრ-იერიშით უკან დავიბრუნეთ 31 მაისს მტრის მიერ დაჭერილი ჩვენი სანგრები.

გალიციაში 30—31 მაისის განმავლობაში კვლავ მკაცრი ბრძოლა განახლდა. ომის ასპარეზად ითვლება სანი, პისკორევიციდან დაწყებული მოსცისკამდე. მდინარე ლიუბაჩევკაზე მტერს ჯგუფ-ჯგუფობით მოჰქონდა იერიში. მდინარის ქვემო ნაწილზე და ლიუბოჩევკისა და ვიშნის შუა ღელეზე მან მოახერხა გადასვლა და სატუხლა აიღო. დნესტრზე, 31 მაისს, მტერს, მართალია, სასტიკი იერიშები მოჰქონდა, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. დნესტრის მარცხენა ნაპირზე ჟოკავა-ზალეშჩიკის ფრონტზე კონტრ-იერიშის დროს რამდენიმე როტა სულ აკაფულ იქმნა ჩვენი ცხენოსანი ჯარის მიერ. მეორე დღეს ერთი ჩვენი რაზმი თავ-გამოდებით ეკვეთა აქეთ გადმოსულთ და 400 ტყვე წამოიყვანა 8 აფიცრითურთ.

**სოლუნი.** 31 მაისი. მიტილენიდან იუწყებიან, რომ 30 მაის სინგლისის ფლოტმა აივალის ახლო ნავთსადგურში დიდი საწყობი ბენზინისა ალმოაჩინა.

**ნიუ-იორკი.** 1 ივნისი. გერმანიის ელჩი დერნბურგი „ბერგენფაორდის", გემით გერმანიაში გაემგზავრა.

**პარიზი.** 31 მაისი. სალამოს ოფიციალური ცნობით არასიდან ჩრდილოეთით გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ნაშუადღევს ჩვენ იერიში მივიტანეთ იმ მთებსა და ულელტეხილზე, რომელიც ქ. სუშიეს შაქრის ქარხნიდან ჩრდილოეთით იმყოფება. ხიშტით ავიღეთ ძლიერად გამაგრებული ულელტეხილი. აქ ჩვენ გავმაგრდით. მიუხედავად მტრის მიერ დაშენილი სასტიკი ყუმბარებისა, პოზიციები შევიკავეთ. დილით კვლავ იერიში მივიტანეთ გერმანელთა იმ სანგრებზე, რომლებიც იმყოფებიან სერმილოში მიმავალ გზის მახლობლად, ებიუტერნის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩვენი ქვეითი ჯარი ერთის დაკვრით დაეპატრონა მტრის სამივე საბრძოლველ ხაზს და ხელთ იგდო 100-ზე მეტი ტყვე, რომლებიც ეკუთვნიან ოთხს სხვა და სხვა პოლკებს, და სხვათა შორის, მე-170 პოლკს. ტყვეების სიტყვით ჩვენ უკანასკნელ ბრძოლის დროს გერმანელებისთვის ძალიან საგრძნობი ზარალი მიგვიყენებია. ზოგიერთა რაზმი სრულიად გავანადგურეთ. დღის განმავლობაში მტერმა სცადა შემოტევა,—მაგრამ ჩვენ შევაჩერეთ. ჩვენმა არტილერიამ პიზიეში გამოიწვია რამდენიმე აფეთქება, რამაც ცეცხლი და არევ-დარევა გააჩაღა მტრის ბანაკში.

გერმანელები შეეცადნენ წაერთმიათ ჩვენთვის ზოგი სანგრები კენნევიერისა და ტრასელემონის ახლოს, მაგრამ ჩვენ ყველგან მოვიგერიეთ. დევნის დროს ჩვენ წინ წავიწიეთ. სუასონს მტერმა ოცამდე ყუმბარა ესროლა. სხვაგან მდგომარეობა უცვლელია.

კაპიტანმა გუსმანმა, გერმანელთა 170 პოლკის 1 ბატალიონის კამანდირმა, რომელიც ჩვენ დავატყვევეთ, განუცხადა ჩვენი სამხედრო შტაბის აფიცერს: უეჭველია, თქვენ გამოგიგზავნიათ გერმანელთა წინააღმდეგ საუკეთესო ჯარი. მე ვიყავ გაგზავნილი ჩემი ბატალიონით 1 ხაზის სანგრებში შეტაკების დაწყებისთანავე, და არასოდეს არ მინახავს—რომ ჯარისკაცები ისეთის ვაჟკაცობით და აღფრთოვანებით ეკვეთებოდნენ, როგორც ამას თქვენები სჩადიოდნენო"...

**ლონდონი,** 31 მაისი. მინისტრის ლლოიდ-ჯორჯის მოგზაურობა სამრეწველო ცენტრებში საშინელ დღესასწაულად გადაიქცა. მუშები და მრეწველები ყველგან ხვდებიან მას ამ სიტყვებით: გვითხარით, რა გჭირიათ და ჩვენ გიშოვნით!" ლლოიდ-ჯორჯი ჩავიდა ბრისტოლში, სადაც მას შეხვდა აღფრთოვანებული მცხოვრებლები, და გამართულს დიდს მიტინგზე, რომელსაც დაესწრნენ დასავლეთი ინგლისის ასეული ქალაქების წარმომადგენლები, წარმოსთქვა სიტყვა: „ამ ომის მოგება შეუძლიანთ მხოლოდ ინჟინერებს. ტეხნიკებს და მუშებს. თუ ისინი ჩვენთან არიან, გამარჯვება მოსახლოებულია. კიტჩენერმა უკვე მოახდინა განკარგულება, რომ ჯარში მყოფი ყველა ინჟინერები და გამოცდილი ტეხნიკოსები დაბრუნდენ ბრძოლის ველიდან და შეუდგენ ყუმბარების მზადებას. ეხლა არ არსებობს პარტიული კედლები. ჩვენ ყველას გვწამს, რომ ინგლისი იბრძვის სამართლიანობისთვის. ვინც იბრძვის სიმართლისათვის, მან უნდა გაიმარჯვოს. მე მოვისურვებდი, რომ ჩვენმა ჯარმა იგრძნოს, როცა ბრძოლაში მიდის, რომ მას მხარს უჭერს მთელი ინგლისი. **გერმანელებმა მოიპოვეს ბევრი გამარჯვება ყუმბარების სიმრავლის წყალობით.** თუ ჩვენც აგრე მოვიქცევით, თქვენ ჩქარა გაიგონებთ, ბრიტანიის ზარბაზნების გრიალში თუ როგორ ჩაინგრევა გერმანელთა სიმაგრეები".

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გამოკვების საკითხი შვეიცარიაში

იტალიის გამოსვლამ შვეიცარიაში დიდი მითქმა-მოთქმა და შფოთი გამოიწვია. ადვილი გასაგებიც იყო. შვეიცარიას რკალივით შემოეხვია შეიარაღებული და მებრძოლი ქვეყნები. მისმა უკანასკნელმა მეზობელმაც თოფი აიღო. შეიკრიბა ფედერატიული საბჭო. მორიგ საკითხად წამოყენებული იყო შვეიცარიის გამოკვება. პური და სხვა სანოვაგე შვეიცარიას უცხო ქვეყნებიდან შემოჰქონდა. ომის გამოცხადების შემდეგ შვეიცარიის მთავრობამ საფრანგეთს სთხოვა, გაეტარებინა თავის ტერიტორიაზედ ამერიკიდან შვეიცარიაში მომავალი პური. საფრანგეთი დაყაბულდა.

შვეიცარიას მეორე გზაც ჰქონდა პურის შემოსატანად. ეს იყო გზა გენუით. იგი იმ თავითვე შეეცადა, ეს გზა უზრუნველ ეყო და ამის შესახებ მოლაპარაკებაც გამართა იტალიის მთავრობასთან, სწორედ ორი თვის წინად, ვიდრე იტალია ომს გამოაცხადებდა. ეს მოლაპარაკება დამთავრდა შვეიცარიის სურვილისამებრ. ამნაირად, პურის მხრივ შვეიცარია უზრუნველ ყოფილი შეიქმნა. (ტემპს).

### შიში მებრძოლთა მხრივ

შვეიცარია ნერვიულ ალტკინებაშია: მებრძოლი სახელმწიფოების შიში აქვს. ავსტრიისა და იტალიის მხრივ შვეიცარიას მართალია, დაუძლეველი ბუნებრივი ზღუდე არტყია, ხოლო ენგანდინის ველით ავსტრიის შემოსვლა იტალიის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ყოვლად შეუძლებელი.... რომ ეს დაუჯერებელი ამბავი ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი ყოფილიყო, მისმა ავტორებმა ხმები დაჰყარეს, ფარული შეთანხმება არსებობს ავსტრიასა და შვეცას შორის. ასეთი შეთანხმება ყოვლად შეუძლებელიაო, ამბობს გაზეთი „ტანის" ბერლინელი კორესპონდენტი, და არც ერთ შვეიცარიელს ეს არა სჯერაო. შვეიცარიამ თავისი ნეიტრალობა უნდა ბოლომდე დაიცვასო. მისი ნაირ-ნაირი ეროვნული შემადგენლობა ამას გვიკარნახებს. თუ შვეიცარიას ხელი არ აუღია თავის დამოუკიდებულობაზე. ამავე მოსაზრებით შვეიცარია არ დაემორჩილება გერმანიის გავლენას. თუმცა გერმანია ეკონომიურად დიდ როლს თამაშობს შვეიცარიაში, მაგრამ ამ უკანასკნელისთვის თვითარსებობის საკითხი, რა თქმა უნდა, ეკონომიურზე უფრო მნიშვნელოვანია. გერმანია რომ ძალადობას დაადგეს და შვეიცარიის საზღვრები გადმოლახოს, შვეიცარია სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს, სწორედ ამიტომ გერმანიისთვის ხელსაყრელი არ იქნება ასეთი ნაბიჯი გადადგას. (ტემპს).

### სატახტო ქალაქის გადატანა.

სატახტო გაზეთები იუწყებიან, რომ სამართლის მინისტრმა ი. გ. შჩეგლოვიტოვმა და მისმა ამხანაგმა მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად პროექტი წარმოადგინეს, რათა სატახტო ქალაქი პეტროგრადიდან რომელსამე რუსეთის ქალაქში იქმნას გადატანილი. განზრახული აქვთ გადაიტანონ იგი არა მოსკოვში, როგორც ამას წინად იუწყებოდნენ, არამედ კიევსა, ან ყირიმში. ყირიმში იმ მოსაზრებით ჰსურთ გადაიტანონ სატახტო ქალაქი, რომ დარდანელის დაპყრობის შემდეგ ამ ქალაქს სავაჭროდ დიდი ასპარეზი გაეხსნება და დევგმირულის ნაბიჯით წინ წავაო. (დ.)

### მოსკოვში გერმანელთა სამრეწველო დაწესებულებებს ჰკეტვენ.

ოფიციალური ცნობით დღეს, 1 ივნისს, მოსკოვში დაიკეტა მტრის 193 სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება, 300 მაღაზია. ორმოც ფირმას, რომელნიც სხვა სახელზე გადაიტანეს, აღეკრძალათ ძველი სახელწოდების აღდგენა.

### გერმანელთა ჰაეროპლანი ყირარდოვში.

ყირარდოვში ჰაეროპლანიდან 12 ყუმბარა ჩამოაგდეს ბენზინით. ოთხმა მოსვლისათანავე ცეცხლი გააჩინეს. ამასთანავე დიდძალი ისრები ჩამოჰყარეს.

### გერმანელებს პოლონეთიდან ხის მასალა გააქვთ.

გერმანელებს დაპყრობილ პოლონეთიდან დიდძალი მასალა გააქვთ პრესლაში.

## ახალი ამბავი

◆ **ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობა.** ეს ერთი კვირაა ვაჟა-ფშაველა ავად იმყოფება. ექიმების თქმით პლევრიტი მარჯვენა მხარეს გარდასვლია.

◆ **კ. ბალმონტი საქართველოში.** გაზეთ „ბირჟევია ვედომოსტის" კორესპონდენტს უბაასნია რუსთა გამოჩენილ მგოსანს კ. ბალმონტთან სხვა და სხვა საკითხებზე და მომავალი მოქმედების გეგმაზე. სხვათა შორის პოეტს უთქვამს:

შემოდგომობით ჩემთვის იწყება სერიოზული, ნაყოფიერი მუშაობა. ამ შემოდგომაზე აზრადა მაქვს წავიკითხო რამდენიმე ლექცია მოსკოვში, პეტროგრადში და პროვინციებში—რიგიდან ბაქომდე. ჩემს სურვილს იმედი მაქვს სრულიად განვახორციელებ, ვინახულებ კავკასიას, განსაკუთრებით საქართველოს, წავიკითხავ რამდენიმე ლექციას თბილისში, სადაც მე ბევრი მეგობრები მყავს.

თქვენ არ იცით, უთქვამს პოეტს,— თუ როგორ მიყვარს მე ეს მშვენიერი, წარმტაცი საქართველო მისი მხიბლავი მომჯადოებელი ბაღებით და ამაყი, დამატყვევებელი ბუნებითო.

ლექციების პროგრამა მგოსანს ჯერ არ დაუმუშავებია, მაგრამ ის უმთავრესად ისტორიულ-ლიტერატურული იქნებაო.

◆ **მანდილოსანთა დეპუტაცია.** 1 ივნისს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სახელით „ახალ კლუბის" მამასახლისებთან მივიდნენ კნ. ნ. კ. ჩოლოყაშვილისა, ქ-ნი თინ. ფორაქიშვილისა, ა. ი. მამაცაშვილისა, ა. კ. ლომინაძე და კნ. ნ. ი. ნაკაშიძისა და სთხოვეს, კლუბის ბაღი დაუთმონ წერა-კითხვის გამ. საზოგადოებას სეირნობის გასამართავად.

◆ **სახალხო კითხვები სოფლად.** ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სახალხო კითხვების მომწყობი სექცია აპირებს 15 ივნისიდან მართოს სოფ. მეჯვრისხევში (გორის მაზრა) სახალხო კითხვები ბუნდოვანი სურათებით. კითხვების მოწყობა იკისრეს მასწავლებლებმა ან. ხახუტაშვილმა, ქ-ნმა კასრაძემ [illegible] ქ-ნმა ახალშენიშვილისამ. ბუნდ[illegible] სურათები და ჯადო-[illegible] ლეს მეჯვრისხევში საზ[illegible] ბისაგან.

◆ **ბიბლიოთეკის წევრთა კრება.** 31 მაისს შესდგა წმ. ნინოს უბნის (ნორიოს ქუჩა) წიგნთსაცავ-სამკითხველოს წევრთა

## საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა

(წარსული, აწმყო და მომავალი*)

II

### საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა ძველად.

ამგვარათ, მეათე საუკუნის დამლევს საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება ანტიოქიის პატრიარქზე გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ: ა) ქართველი კათალიკოზი **ვალდებული იყო** წირვა-ლოცვის დროს ანტიოქიის პატრიარქი მოეხსენებია (ე. ი. ეცნო მისი უფროსობა საქართველოს ეკლესიისათვის) და ბ) ანტიოქიის პატრიარქს **უფლებ ჰქონდა**, გამოეგზავნა საქართველოში თავისი წარმომადგენელი მწვალებლობათა და წმინდა სარწმუნოებრივ ცდომილებათა განსახილველ-გასასწორებლად; მოკლედ რომ მოვსჭრათ: ანტიოქიის პატრიარქი ითვლებოდა **თავად** საქართველოს ეკლესიისა, რომლის ხელში იყო საქართველოს ეკლესიის **უზენაესი იურისდიქცია**.

მაგრამ მეათე საუკუნის ბოლოდან იწყება საქართველოს თანდათანი შეერთება და პოლიტიკურათ გაძლიერება. კლარჯეთ-აფხაზეთის ბაგრატიონებმა: ბაგრატ მე-III-მ (980—1014 წ.), გიორგი I-ელმა (1044—1027 წ.) და ბაგრატ მე-IV-ემ (1027—1072 წ.) საქართველოს დაგლეჯილი ნაწილებისაგან შექმნეს საკმაოთ ძლიერი პოლიტიკური ერთეული, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ როგორც ერთმორწმუნე საბერძნეთის იმპერატორები, ისე მაჰმადიანე მმართველები.[1]) ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ ქართველებმა თავის კათალიკოზებსაც სხვანაირათ დაუწყეს ცქერა, სახელდობრ: ფაქტიურათ ავტოკეფალური უფლებანი კათალიკოზისა დაუპირდაპირეს მსოფლიო პატრიარქთა უფლებას, რის გამოც თავის კათალიკოზებს დაუწყეს წოდება „კათალიკოს-პატრიარქად" და „პატრიარქად" (=„მამათმთავარი") და არა „კათალიკოს-მთავარეპისკოპოსად", როგორც მანამდე ეძახოდნენ.[2])

ამ ნიადაგზე მეთერთმეტე საუკუნეში, სწორეთ იმ დროს, როცა დასავლეთის (რომის) ეკლესია აღმოსავლეთის ეკლესიას შორდებოდა, ანტიოქიაში, პეტრე მე-III-ის პატრიარქობაში (1053—1057 წწ.), ქართველ და ანტიოქიელ ბერთა შორის ატყდა წმინდა კანონიკური ხასიათის კამათი და უთანხმოება, რომლის შესახებაც ვრცლად მოგვითხრობს წმ. გიორგი მთაწმინდელის († 1065 წ.) „ცხოვრება" და რომელიც დასრულდა საქართველოს ეკლესიის სრული გამარჯვებით.[3]) ამ ფაქტს მოიგონებს ანტიოქიის პატრიარქი, ცნობილი მსოფლიო კანონისტი, თეოდორე ვალსამონი (1186—1203 წ.) და ამბობს: „ივერიის არქიეპისკოპოსი ღირსყო (ავტოკეფალობისა) ანტიოქიის კრების დადგენილებამ... კირ პეტრეს, თეოპოლის ე. ი. დიდი ანტიოქიის პატრიარქის დროს იყო კრებითი განკარგულება, რათა ივერიის ეკლესია, რომელიც მაშინ ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა, იქმნეს **თავისუფალი და ავტოკეფალი**".[4])

ამგვარათ ანტიოქიის პატრიარქის პეტრე მე-III-ის დროს საქართველოს ეკლესიამ, სრულიად კანონიერის გზით, მიიღო სრული იურიდიული დამოუკიდებლობა, ანუ როგორც თვით ანტიოქიის კრების დადგენილება ამბობს, „თავისუფლება და ავტოკეფალობა". ეს უნდა მომხდარიყო, როგორც სჩანს ანტიოქიის პატრიარქის დოსითეოზის († 1707 წ.) მოწმობიდან, არა უადრეს 1053-ისა და არა უგვიანეს 1054 წლისა,[5]) ე. ი. სწორეთ იმ ხანაში, როცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები ერთმანეთს დაშორდნენ 1054 წელს.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ვალსამონის ზემო მოყვანილს მოწმობას ორგვარი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკითხისათვის: ისტორიული და კანონიური (იურიდიული). რომ ჩვენი აზრი ნათელ ვყოთ, მოგვყავს მისი მოწმობა სავსებით.

მეორე მსოფლიო კრების მეორე კანონის განმარტებაში თეოდორე ვალსამონი ბრძანებს:

„შეისწავლე ამ კანონისაგან, ვითარმედ ძველად ყველა მიტროპოლიტები დამოუკიდებელნი (ავტოკეფალები) იყვნენ და თავისი საკუთარი კრებების მიერ ხელდაისხმოდნენ. მაგრამ ეს წესი შესცვალა ქალკიდონის კრების მე-28-ე კანონმა, რომელმაც დაადგინა, რომ პონტისა, ასიისა, თრაკიისა და ზოგიერთი სხვა ოლქების მიტროპოლიტები, რომელნიც იმ კანონში ჩამოთვლილნი არიან, კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან უნდა ხელდაისხმოდენ და მას უნდა დაემორჩილონ. ხოლო თუ ჰპოებ კიდევ სხვა დამოუკიდებელ (ავტოკეფალ) ეკლესიებს, მაგალითად: ბოლგარიისას, კიპრისა და ივერიისას,—ნუ გიკვირს ესე. ბოლგარიის არქიეპისკოპოსს პატივი მიაგო (ავტოკეფალობისა) იმპერატორმა იუსტინიანემ...; კიპრის არქიეპისკოპოსს პატივი უყო მესამე (მსოფლიო) კრებამ: წაიკითხე ამ კრების მე-8-ე კანონი და მე-39-ე კანონი მეექვსე კრებისა. ხოლო ივერიის არქიეპისკოპოსს პატივი სცა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ კირ პეტრეს, თეოპოლის ე. ი. დიდი ანტიოქიის უწმიდესი პატრიარქის, დროს იყო კრებითი განკარგულება, რათა ივერიის ეკლესია, რომელიც მაშინ ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა, იქმნეს თავისუფალი და დამოუკიდებელი (ავტოკეფალი)" [6]).

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ სიტყვების ავტორი, ვალსამონი, თვითონ ანტიოქიის პატრიარქი იყო (1186—1203 წლებში) და, მაშასადამე, დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ივერიის ეკლესია დაემორჩილებია; მიუხედავათ ამისა, იგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობას კიპრისა და ბოლგარიის ეკლესიათა ავტოკეფალობას უთანასწორებს, და ეს ფაქტი მიაჩნია სრულიად ბუნებრივ და კანონიერ ფაქტად, რომელიც მცირეოდენს ეჭვსა და გაოცებასაც კი არ უნდა იწვევდეს. ხოლო, როგორც ვიცით, კიპრის ეკლესია ავტოკეფალად ცნობილ იქმნა მესამე და მეექვსე მსოფლიო კრებათა მიერ, ბოლგარიის ეკლესიის ავტოკეფალობა კი მე-X-ე საუკუნიდან მეფეების: სვიმონისა და პეტრეს დროიდან) არავისთვის საეჭვო აღარ იყო [7]). მაშასადამე, ვალსამონის თვალში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობასაც ისეთივე ძალა და მნიშვნელობა ჰქონია, როგორიც დასახელებულ ეკლესიებისას. ხოლო თვითეული ადგილობრივი ეკლესიის უფლებათა შესახებ ვალსამონი იმ აზრისა იყო, რომ ყოველს ეკლესიას „შეუბღალველათა და შეუზღუდველათ" უნდა დაცულ იქმნას უფლებანი, თანახმათ ძველითგანვე დამყარებულის ჩვეულებისაო. „კიპრის ეპისკოპოსებიო,—ამბობს იგი,—კანონებისა და ძველი ჩვეულების თანახმათ თვითონ ხელდაისხმოდნენ; ასევე უნდა იყოს სხვა ოლქებსა და ეპარქიებშიაც, რადგან არც ერთს ეპისკოპოსს არა აქვს უფლება, სხვა ეპარქია მიითვისოს, რომელიც ძველითგანვე მას არ ემორჩილებოდა, არამედ, პირიქით, ისინიც, ვინც ასეთს რასმე სჩადიან და რომელთაც ძალდატანებითა და თავის ნებით მიუთვისებიათ სხვისი ოლქი, მოვალენი არიან უკანვე დაუბრუნონ, რათა არა შეილახოს კანონები და, მღვდელმოქმედების სახით, თავი არ იჩინოს ეპისკოპოსებში საერო მთავრობის თავხედობამაო" [8]).

ამ სახით, მე-XI—XII-ე საუკუნიდან არავის აღარ შეუძლია ეჭვი იქონიოს საქართველოს ეკლესიის სრულს ფაქტიურსა და იურიდიულს ავტოკეფალობაზე. ასეთია პატრიარქ ვალსამონის სიტყვების ფასი და მნიშვნელობა ჩვენი ეკლესიის შესახებ.—განვიხილოთ ახლა, როგორ ხორციელდებოდა საქართველოში ეკლესიის თავისუფლების მეორე მხარე, სახელდობრ თავისუფლება მორწმუნეთა სინიდისისა და საერო მთავრობასთან ეკლესიის განწყობილება.

(შემდეგი იქნება)

**ერისგანი.**

*) „საქართველო" № 9.

[1]) ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, გვ. 300—340.—Brosset Hist de la Giçodie I, p. 294—341.—ვახუშტი ბატონიშვილი—საქართველოს ისტორია. თბილისი. 1885 წ., გ. 135—136.

[2]) იხ. „ქართლის ცხოვრება" ნაწ. I, გვ. 308, 316, 320, 321.—Hirt de la Gyéordie, I, pp. 301, 310, 315.

[3]) იხ. „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი". თბილისი, 1901 წ. დამატება, გვ. 312—315. შეად. მიხ. საბინინის „საქართველოს სამოთხე", გვ. 460—462. უფრო დაწვრილებით იხ. მამა კალ. ცინცაძის გამოკვლევა: „Автокефалія церкви грузинской". Тифлис. 1905 г., стр. 24—31.

[4]) იხ. უფრო ვრცლად ესევე ციტატა ამ თავის ბოლოში.

[5]) დოსითეოზის მოწმობით ეს ამბავი მოხდა იმპერ. კონსტანტინე მონომახისა (1042—1053—1054 წ.) დროს. იხ. მისი „Журн. минист. нар. просвѣщ". за ноябрь 1843 г., стр. 135—138=К. Цинцадзе—Историческая справка по вопросу объ автокефаліи грузинской церкви. Тифлисъ. 1906 г., стр. 99—100).

[6]) Правила святыхъ вселенскихъ соборовъ съ толкованіями. Москва. 1877 г., ч. I, стр. 86.

[7]) იხ. „Богословская Энциклопедія" Лопухина, ч. II, стр. 910—911. შეად. ბროკჰაუზის „Большой энциклопедич. словарь", 7-й полутомъ, стр. 262—263.

[8]) Правила свв. всел. ссборовъ съ толкованіями. Толкованіе на 8-ое правило III вселенск. собора, ч. I, стр. 135.

კრება სამკითხველოს შენობაში. კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში და მიმდინარე ხარჯთ-აღრიცხვა. კრებას დაესწრო ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგადოების სკოლებისა და წიგნთსაცავების მეთვალყურე გრ. ბურჭულაძე.

**მუშა ხელის საჭიროება ბაქოში.** თბილისის ქალაქის გამგეობას ატყობინებს ბაქოს ქალაქის მოურავი, რომ ორი ათას ასი მუშაა საჭირო ბაქო-ბალახანის წყალსადენის სამუშაოზედ და თუ თბილისში იმყოფებიან გადმოხვეწილთა შორის შესაფერისი მუშები, გამოგვიგზავნეთო. ორი ათას მუშას უნდა შეეძლოს მიწის თხრა, ხოლო ასი კაცი დურგალი უნდა იყვესო. სამუშაო ქირა დღეში მანეთია და ბინა მუქთად.

**წამლების სიძვირე.** ქალაქის აღმასრულებელმა კომისიამ სთხოვა ქალაქების კავშირთა კავკასიის განყოფილების ბიუროს საჭირო წამლები ლაზარეთებისათვის კავშირის საწყობიდან (მოსკოვში) იქნას გამოწერილი, რადგან თბილისში 50 პროც. მეტად ფასობს წამლებიო.

**ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება.** კრება იყო მოწვეული 1 ივლისს ხსენებულ საზოგადოების წევრისა და მოჭირნახულე ალ. ი. სარაჯიშვილის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად. კრებას თავმჯდომარეობდა ე. ს. თაყაიშვილი, რომელმაც მოკლედ განმარტა კრების მიზანი, აღნიშნა რა განსვენებულის ღვაწლი. ბ-ნმა შალვა ქარუმიძემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ განსვენებულის მოკლე ბიოგრაფია. შემდეგ საზოგადოების მდივანმა ბ-ნმა ს. გორგაძემ რეფერატი წაიკითხა ქართულ ანბანის შესახებ. რეფერენტმა აღნუსხა ქართული ანბანის ისტორია და შეხედულება ამ საგანზე ზოგიერთ მეცნიერთა და მკვლევართა, მაგალითად, დ. ბაქრაძისა, ილია ოქრომჭედლიშვილისა, მოსე ჯორჯენელისა, ეპისკოპოსის მესროპისა, დ. კარიჭაშვილისა და სხვ. რეფერატმა გამოიწვია აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ილაპარაკეს პ. მირიანაშვილმა, მ. ჯანაშვილმა, დ. კარიჭაშვილმა და სხ. პროფესორმა ი. ა. ჯავახიშვილმა საგულისხმიერო შენიშვნები გაუკეთა რეფერატს. ბოლოს საზოგადოებაში მიიღეს ახალი წევრები და კრება დაიშალა.

**ქალაქის საბჭო.** 1 ივნისს შესდგა ქალაქის საბ. სხდომა. თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა კრებას წაუკითხა მ. ი. უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა და დიდის მთავრის ელისაბედ მავრიკის ასულის დეპეშა, რომელიც ქალაქის გამგეობას მოუვიდა პასუხად გაგზავნილ სამძიმრის დეპეშისა თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის გარდაცვალების გამო. დეპეშა ფეხზე ადგომით მოისმინა კრებამ. შეწყნარებულ იქმნა გამგეობის მიერ შემუშავებული დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა 135,888 მან. მიმდინარე წლის ზოგიერთი ხარჯების დასაფარად. აგრეთვე შეწყნარებულ იქმნა 1912 წლის ანგარიში ქალაქის და სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ. ავტომობილთა პატრონების თხოვნა ნიხრის გადიდების შესახებ გადაეცა განსახილველად სატეხნიკო და სამეურნეო კომისიას. ქალთა უმაღლესი კურსების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქის სამკურნალო დაწესებულებით სარგებლობის უფლება მიეცესთ მათ, საბჭომ დააკმაყოფილა. ტრამვაის მეთვალყურე კომისიის მოხსენების გამო ტრამვაის დაჯარიმების შესახებ ხელშეკრულობის სხვა და სხვა მუხლის დარღვევისათვის საბჭომ დაადგინა,—ჯარიმისაგან განთავისუფლდეს ტრამვაის საზოგადოება, რადგან ვალდებულობის დარღვევას ადგილი ჰქონდა ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვების დროს. იმ კომისიის წევრებად, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს თბილისის მადნეულ წყაროების საზღვრები, არჩეულ იქმნენ მ. ვ. ლუნკევიჩი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ს. თ. ჭრელაშვილი და ა. ს. ბაბოვი.

**ახლად გაწვეულ ჯარის-კაცნი** დღეს უნდა გამოცხადდნენ სამხედრო უფროსთან.

**სასანიტარო მატარებელი** ჩამოვიდა თბილისში სარიყამიშიდან და ჩამოიყვანა სამი ავადმყოფი აფიცერი, შვიდი დაჭრილი და 126 ავადმყოფი ჯარის-კაცი.

**„ძმური ნუგეში“.** დღეს, საღამოს 5 საათზე ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოება ჰხსნის საჩაიეს **„ძმური ნუგეში“.** ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას განზრახვა აქვს მთელი შემოსავალი დაზარალებულ ოჯახებს გაუნაწილოს. გოლოვ. პროსპექტი, 16.

**ახალგაზდების შემოწმება.** იმ ახალგაზდებს, რომელნიც მოისურვებენ მოხალისედ ჩაეწერნონ ჯარში, ქალაქის სამხედრო განყოფილება შეამოწმებს ჯანსაღობის მხრივ 15 ივნისიდან 1 ივლისამდე.

**თბილისის ქალაქის გამგეობაში** 1 ივნისიდან მუშაობა იქნება 9 სათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

**ქალაქის გამგეობამ** გუშინ, 1 ივნისს, საჩივარი შეიტანა ოლქის სასამართლოში. გამგეობა თხოულობს, უსახელო საზოგადოებამ ტრამვაი გადასცეს გამგეობას.

**ქალაქის გამგეობამ მოხსენება წარუდგინა** გუბერნატორს შაქარზე ნიხრის მომატების შესახებ. გამგეობა იმით ასაბუთებს თავის წინადადებას, რომ თბილისში შაქარი აღარ იშოვება. ვაჭრებს რუსეთში შეუტყობინებიათ აგენტებისთვის, აქ რაკი მაზანდა დაეცა, შაქარი ადგილობრივვე გაჰყიდეთო დადგენილ ნიხრზე. რაკი შაქრის გაყიდვა ვაჭრებს ძვირად უჯდება, შესაძლებელია ქალაქი უშაქროდ დარჩეს. გამგეობა სთხოვს გირვანქაზე 1 კაპეიკი იქმნეს მომატებული.

**ომისაგან დაზარალებულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს** პირ. მაისამდე თანხად 3224 მან. ჰქონია. მაისის განმავლობაში შემოსულა 11,488 მ. სულ 14,712 მან. მაისის განმავლობაში დაუხარჯავს 19,590 მან. დარჩა 1,122 მ.

**მცენარეულობის წამლობა.** მებაღეობის საზოგადოების ინსტრუქტორი ბ. ბ ბაგრამოვი მიწადმოქმედების დეპარტამენტმა გაგზავნა გორის მაზრაში, სადაც სოფლელებს უნდა აჩვენოს, როგორ უნდა წამლობა ხეხილს და ბოსტნეულობას.

**ცეცხლისაგან დამზღვევ თბილისის საურთიერთო საზოგადოების** წევრთა კრებაზე 31 მაისს დადგენილ იქმნა: 1) სარევიზიო კომისიის წევრებს სასყიდელი არ მიეცესთ; 2) გამგეობის სამ წევრთაგან თითოს წლიური ჯამაგირი მიეცეს 1500 მან. და 3) მოსამსახურეებს მიემატოს 1 ივნისიდან 20% ჯამაგირისა ცხოვრების გაძვირების გამო.

**სახალხო სახლი.** ხუთშაბათს, 4 ივნისს სახალხო სახლში გაიმართება ბენეფისი ლ. პ. ყიფიანისა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

## ციური წყალი *)

**(მევენახეთა საყურადღებოდ)**

ციური წყლის ხმარება ვენახის ავადმყოფობის წინააღმდეგ ძლიერ გავრცელებულია საფრანგეთში. ყველგან, სადაც კი სცადეს ციური წყალი, უფრო სასურველ შედეგს იძლეოდა, ვიდრე ბორდოს სითხე, უბრალო სითხე შაბიამანისა და „ვერდე“. მაშასადამე ციური წყლის ხმარება ნორმალურ პირობებშიაც ე. ი. როდესაც შაბიამანი ისე არ ძვირობს, როგორც დღეს, ხელსაყრელია. სწორედ ამისთვის ჩვენ გვინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამ საშუალებას და ურჩიოთ იგი ყველა მევენახეს. მაგრამ, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენი მევენახე ცოტა უნდობლად უყურებს იმ საშუალებას, რომელსაც ჟურნალ-გაზეთი აწვდის მას. აი ამ მოსაზრებით პირველი ჩვენი წერილი ციურ წყლის შესახებ **) მიმართული იყო ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისადმი. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ პატივცემული საზოგადოება ოდნავი ყურადღებას მიაქცევდა მისდამი მიმართულ წერილს და თავის აზრს გამოსთქვამდა ამ საშუალების შესახებ. ჩვენის აზრით ქ. სასოფლ. სამეურნეო საზოგადოება ზნეობრივად ვალდებულიც იყო პასუხი გაეცა ამ წერილისათვის, და აი რატომ: ვსთქვათ ჩვენ წარმომადგენელი ვართ დიდ ფირმისა, რომელიც ქიმიურ ნაწარმოებით ვაჭრობს, ამავე დროს გამოვდივართ და საკვირაო ჟურნალში საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ესა და ეს საშუალება იხმარონ ვენახის წამლობაში და თანაც ამ წერილს უძღვნით ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებას. ხსენებული საზოგადოება-კი სდუმს. ამ დროს გაჭირვებული მევენახე ადვილად გასწევს რისკს და დაეწაფება იმ საშუალებას, „რომელსაც გაზეთში სწერდნენ“. ამ რიგად ჩვენ ქვეყანაში ჯერ კიდევ დიდი ასპარეზია, სადაც შეუძლია ითარეშოს ყველამ, ვისაც-კი მოეპრიანება ხალხის მოტყუება. წარმოსადგენია ისეც, რომ ჩვენ მიერ ნაჩვენებ საშუალებამ სრულიად გაანადგუროს ვენახი. მერე? აბა ვინ უნდა ადევნოს თვალყური ასეთ წერილებს, თუ არა სამეურნეო საზოგადოებამ და აგრონომებმა? ჩვენ ხელახლა უბრუნდებით საკითხს და მოუწოდებთ როგორც ქართველ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, ისე ყველა ქართველ აგრონომს თავისი აზრი გამოსთქვან ამ საშუალების შესახებ.

„ციური წყალი“ უფრო ინტესიურად მოქმედობს ვაზზე, ვიდრე ბორდოს სითხე; 1886 წელს სამხრეთ საფრანგეთში დიდ გვალვის დროს დამტკიცდა, რომ „ციურ წყლის“ გავლენა უფრო დიდხანს ეტყობოდა ვაზის ფოთლებს, ვიდრე სხვა რომელიმე წამლის გავლენა.

„ციურ წყლით“ წამლობის პროცესი ისეთია, როგორც ბორდოს სითხით წამლობის პროცესი; წამლობა უნდა მოხდეს უსათუოდ კარგ დარში; პირველი წამლობა—მაისის პირველ რიცხვებში, მეორე წამლობა—თვენახევარ ანუ ორი თვის შემდეგ; მესამე წამლობა უსაუოდ რთველის წინ 15 დღით. „ციური წყლის“ მომზადება ძლიერ ადვილია და ყველა მევენახეს შეუძლიან მისი მომზადება; მნიშვნელობა აქვს მხოლოდ შაბიამანის სიწმინდესა, ე. ი. ის უნდა იყოს ნამდვილი წმინდა დაკრისტალებული შაბიამანი. სითხის მოსამზადებლად უნდა ავიღოთ ერთი (1) კილოგრამი შაბიამანისა $CuSo^4$ (3) ვერმუტის (litre) ბოთლ ესე იგი ჩარექიან ცხელ წყალში. აუცილებელი საჭიროა ეს ოპერაცია ხის ანუ თიხის ჭურჭელში ხდებოდეს. კრისტალების დასაშლელად ხშირად უნდა ურიოთ ჯოხით. როდესაც სითხე გაცივდება და კრისტალების დაშლაც დამთავრდება, მაშინ ამ სითხეს უნდა მიუმატოთ $AzH^3$ ე. ი. ნიშადური, რომელსაც ბაზარი გვაწვდის. წამლობის დროს ეს სითხე უნდა გაურიოთ 200 ვერმუტის ბოთლ წყალში და ვერმორელის ანუ რომელიმე მანქანით შეუშხაპუნოთ ვაზს. ჰექტარს უნდება 200—300 ბოთლი სითხე. საჭიროა აგრეთვე წამლობის წინ ნახევარი დღით ადრე მზადდებოდეს ეს სითხე. თუ ვიანგარიშებთ წამლობის მაქსიმუმის განმეორებას ე. ი. თუ ვენახს ოთხჯერ დასჭირდა წამლობა, რადგანაც საშვალოდ თითო ჰექტარს უნდება 250 ბოთლი სითხე, მაშინ, ოთხჯერ განმეორებული წამლობა თითო ჰექტარზედ მოითხოვს მხოლოდ 5 კილოგრამ შაბიამანს, რაც ჩვენის აზრით მინიმუმს შეადგენს.

უმორჩილესად ვსთხოვ ყველას, ვინც ამ წამალს გამოსცდის, წამლობის შედეგი შეგვატყობინოს.

ე. ალშიბაია.

*) ბიბლიოგრაფია: A. Audaynaud—Le Mildiou et les composé cupripue (Progrés agricole et viticole des 28 mars, 18 avril, 30 mai. Clampin—Une tournée biticole dans le Medoc et un remède contre le peronosqora (Progrès agricole et viticole, actobre et novembre 1886. Pierre Viala.—Les maladies de la vigne (Montpellie, Camille Coulet—editeur.

**) „კლდე“ № 15.

## რუსეთის მრეწველთა წლიური კრება.

ეს მეცხრე კრება მოხდა რუსეთში მრეწველებისა. ჯერ კიდევ გასულ წელს, როდესაც ომის ქარიშხალი არ არყევდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ მმართველების დეფექტებს, რითაც ფერხდებოდა მრეწველობის თავისუფალი განვითარება. ის, რაც მაშინდელ კრებაზე ითქვა, შემდეგ გამოიმუშავა კრების საბჭომ, რომელიც ბოლოს წერილობით წარუდგინეს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს. წერილში, სხვათა შორის, ითხოვდნენ ზომების კონკრეტულ ფორმებს, რითაც უნდა განვითარებულიყო სამშობლოს მრეწველობა. ძირითადი დებულება ამ წერილისა აი რას ღაღადებდა: სიმდიდრისა და ეროვნული ძალღონის მოკრება შეიძლება იმ პირობებში, „თუ კერძო აღებ-მიცემობა, კერძო ინიციატივა არ იქნება შეზღუდული, თუ ჩვენს უფლებრივ ცხოვრებაში არ იქნება დაბრკოლებანი, რასაც ვხედავთ რუსეთის მრავალფეროვან მცხოვრებთა ერთურთისაგან განსხვავებაში საზოგადოდ და კერძოდ სარწმუნოების შეზღუდვაში“.

აგერ ამ დადგენილების შემდეგ გავიდა წელიწადი და მრეწველობის წინ ახალმა საკითხებმა წამოჰყვეს თავი. დღეს მრეწველობას თავის დანიშნულებად ის კი არ ულიარებია, არამედ ის, რომ საშუალებანი გამონახოს სამშობლოს სახსნელად, მტრის დასამარცხებლად. აქ კითხვა აღძრეს: რითია დღეს მტერი ძლიერი? რაღა თქმა უნდა, თავის ქვეყნის ეკონომიურ სიძლიერით, ძლიერი მრეწველობის განვითარებით, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის სიმტკიცით. და აი, ამ ახალ კრებაზეც, რომელსაც არაჩვეულებრივ დიდძალი ხალხი დაესწრო, ქარიშხლისებური სიტყვები წარმოითქვა ომზე, მრეწველობაზე. სამ ორატორთა სიტყვაში, ფედოროვისა, ჟუკოვსკისა და პოპლაკოვსკისაში, გამოითქვა ყველა ის აზრები, რაიც ამ კრებას აწუხებდა. შრომის ორგანიზაცია, ერთად შეჭიდა, შემტკიცება შრომის ნიადაგზე,—აი რა იხსნის რუხეთსაო. მაგრამ მოვიყვანთ შემოკლებით კრების მეორე დღეს წარმოთქმულ რიაბუშკინის სიტყვას, რომლის სამხედრო ცენზორისაგან სამწუხაროდ ადგილები თეთრად არის აჭრელებული, მაგრამ, მიუხედავად ამ სიცარიელისა, მაინც აშკარად ჰღაღადებენ იქ ამოშლილ აზრის სილაღეს და მის სურათს. „სამწუხაროდ,—დაიწყო რიაბუშკინმა,—გუშინ მოსვლა ველარ მოვახერხე, რადგან მომქმედ არმიაში ვიყავი. . . . . . . . . . .მაგრამ თქვენც კარგად გესმით, რომ როდესაც ბრძოლის პირზე სდგეხართ, უნებურად უფრო მეტი გრძნობით იმსჭვალებით, მეტი შთაბეჭდილებით, ვიდრე თქვენ აქ მყოფნი. აი ამ კრებაზე მსურდა გამეზიარებინა არა მარტო ის აზრები, რაიც ომის ნიავმა ამიშალა იქ, ბრძოლის ველზე, არამედ ის გრძნობანი, ის განცდანი, რაც გადავიტანეთ რამდენიმე თვის განმავლობაში ყველა იქ მყოფმა. თქვენი მოწოდების წერილი სწორედ მაშინ მივიღე, როდესაც ჩემს ბინაზე ექვს დიუმიან ზარბაზნებს გრიალი გაჰქონდათ. სწორედ იმ დროს, როდესაც ვიგრძენ სრული ულონობა, როდესაც ვიგრძენ, რომ ყოფნა არ ყოფნის საზღვარზე ვიმყოფებოდი, უნებურად გული დამწყდა, წარმილო საშინელმა ფიქრებმა და წარსულის პასუხისმგებლობის აჩრდილი თვალწინ წამომიყენა. ჩემის აზრით, რანაირი ნაყოფიერიც უნდა იყოს თქვენი გარჯილობა, იმ დროს, რაც ეხლა, აი ამ წუთს ახდება იქ . . . ერთი სიტყვით, როდესაც რუსეთის ბედი სწყდება ხმლის ულმობელი მკვეთრი წვერით, იქ ანგარიშს მოითხოვთ, თუ . . . . . . . . . . . . . . . . .

მაგრამ რუსის ხალხი თვით წამების წუთებშიაც არა ჰკარგავს სიმტკიცეს. და აი, აქ დაბრუნებისას, რამდენადაც ვშორდებოდი ბრძოლის ასპარეზს, განსაკუთრებული გრძნობა . . . . . . . მხოლოდ იმას მიკარნახებდა, რომ ჩვენ შევძლოთ აქ მომზადება, ორგანიზაციის შეკვრა და რაკი ეს ასეა, თვითეულის მოვალეობაა... ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენს დღიურ საქმისთვის ვიბრძოლოთ მხოლოდ. თვითეული ქარხანა, თვითეული ჩვენგანი უნდა ჰფიქრობდეს, რომ მტრის ძალა დათრგნულ იქმნას. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ გერმანიაში ყველა ქარხნები, რომელნიც დღემდინ ქვეყანის გულს ასაზრდოებდნენ, დღეს მხოლოდ ერთს მიზანს ემსახურებიან, მიზანს, რომ თავიანთ ქონებას გამარჯვება მიახვეჭინონ. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. მე ვგრძნობ, თუმცა თქვენც გუშინ სწორედ ამას ამბოადით, რომ საჭიროა... მკაცრი, წარმოუდგენელი ზეკაცური სულის სიმაღლე, რომ დამარცხებულ იქმნეს ეს ჩვენი დაუძინებელი მძვინვარე სული. მე მწამს, როგორც თვითეულს თქვენგანს, რომ ჩვენი არმია ჩვენგან არ არის მოწყვეტილი, რომ აქ ხმამაღლივ მოვითხოვთ, რომ მოუწოდონ ღირსეულ ხალხს კომიტეტის შესადგენად... კომიტეტისა? მაგრამ ჩვენ ვიცით, ასეთი კომიტეტები მრავლად სდგებოდა, ლეგიონია მათი სახელი, მაგრამ მათი არსებობა მკვდარ ფორმებში თალიშდებოდა, უსიცოცხლოდ არსებულნი სიცოცხლისთვის მკვდრად არიან აღიარებულნი. ამიტომ აქ კითხვა მართლა რაღაც კომიტეტის დაარსებას კი არ შეეხება, არამედ უბრალო მოსაზრებას, რომ მართლა შევაფასოთ ღირსეული და გამოცდილი ხალხი, სახელმწიფო მოხელეები. საჭიროა თავი მოუყაროთ ყველა მათ, ვისაც ვენდობით, მიუხედავად მათი რწმენისა, მიმართულებისა. სწორედ ასევე იქცევიან დასავლეთში, სადაც ყოველისფერი ხდება პიროვნებათა ხარისხით, მაშასადამე, ჩვენც, რუსებმა, ძლიერი და მაღალი პიროვნებანი უნდა წარმოვაყენოთ. ამბობენ, ახალი გარემოებანი შეიქმნენო, მაგრამ დრო არ იცდის, დღეს საქმე მსჯელობაში კი არაა, არამედ მოქმედებაშია, უნდა ეხლავე მუშაობა იქმნეს გაჩაღებული. თქვენ მეტყვით, ვშრომობთ, ვმოქმედობთო, მაგრამ ვიმეორებ, რომ თქვენი მოქმედება ჯერ არაფერს არ წარმოადგენს, . . . . . . .

ამიტომ, ბატონებო, დღევანდელ თქვენს მოვალეობას შეადგენს ამოირჩიოთ გამოცდილი და მცოდნე ხალხი. ასეთი სასტიკი წუთები [illegible] არ დაგვდგომია. აბა გაჰხედეთ დასავლეთს, საფრანგეთს, ინგლისს, [illegible] მათ მოუწოდეს ყველაზე [illegible] საუკეთესო თავის შვილებს, ვისაც [illegible] ხალხი. ჩვენ გვრწამს, რომ ისინი გამოატრიალებენ თავიანთ სამშობლოს ბედის ჩარხსა და იხსნიან მას მძიმე და აუტანელ მდგომარეობიდან...

ბატონებო, ეხლა ლაპარაკის დრო-კი არა, მოქმედებისაა, ვინაიდან მთელი ჯარების ყურადღება რუსეთისკენ არის მიპყრობილი, მოსკოვისაკენ...

თქმა არ უნდა, ჩვენ ამ ერებზე ბევრს რამე ვილაპარაკებთ, ვილაპარაკებთ ისე, როგორც ოცჯერ და ათასჯერ გვილაპარაკნია... მაგრამ, ბატონებო, საქმე განმეორება კი არ არის, არამედ ის, რომ მართლა განახორციელო ყოველივე ის, რაც დიდი ხანია განვიცადეთ და ვიგრძენით ყველამ.

მაგრამ, რაც არ უნდა ვთქვათ, ჩვენი ფიქრი და საზრუნავი მხოლოდ ერთი რამ არის, სახელდობრ ის, თუ როგორ გავიმარჯვოთ! ჩემს თავად ვიტყვი, არ ვიცი, რა უნდა ვთქვა, შეჩვეული ვარ შრომას და საქმიანობას, ვიცი ვაჭრობის დეტალები, მაგრამ მაინც დავსდუმდები, იმიტომ რომ დღეს არ მსურს ამაზე საუბარი, ეს მომავლის საქმეა...

თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ყოველისფერი კარგად წავა, თავის თავად ყოველისფერი გარდაიქმნება. მაგრამ თუ დავმცირდებით, თუ რომ უცხონი პირდაპირ და ალმაცერად იბრძანებლებენ ჩვენზე, მაშინ რომელ მრეწველობის გარდაქმნაზე უნდა ვისაუბროთ, ან რა ვაჭრობისა გვეცხელება . . . . . . . . . . . . .

ჩვენ არა თუ დამცირების ატანა არ შეგვიძლიან, თვით საეჭვო გამარჯვებაც შეუწყნარებელი იქმნება, ვინაიდან ჩვენ მაშინ მთელი საუკუნით დამონებულნი ვიქმნებით. საქმე წინსვლა კი არ არის, არამედ ის, თუ ვინ სწრაფად მოძრაობს. ვინც ჩქარა მიდის, ის უფროსობს: ჩამორჩენილნი ეცემიან, აი, ვტოვებ ამ ადგილს და მოგიწოდებთ: დავიწყოთ დროებით ჩვენი საკუთარი საზრუნავი და ვიფიქროთ ის, თუ როგორ დავეხმაროთ სახელმწიფოს ამ მძიმე წუთებში. ჩვენ ხომ ჩვენს ძალებს კარგად ვიცნობთ, ვინც გვყვანან ისიც კარგად ვიცით, თითზე სათითაოდ შეგვიძლიან ჩამოთვლა, განათლებულნი ძალიან ცოტა გვყვანან, მაგრამ ვინც გვყვანან, მათი დახმარება და აქ მოსვლა ფრიად საგრძნობელი იქნება ჩვენთვის. აი, მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავი გავუსრიოსოთ იმ შხამიან გველს, რომელიც თავიდან ფეხამდე, შიგნით და გარედან შემოგხვევია და სუნთქვას გვიხუთავს უწყალოდო“!

ეს სიტყვა, რასაც მსმენელნი აპლოდისმენტთა ქარიშხალით ეგებებოდნენ, ფრიად დამახასიათებელია იმ მტკივნელ მდგომარეობისა, რასაც განიცდის დღეს რუსეთი. თუ დღემდე რუსეთის საქმე ისე არ მიდის, როგორც სასურველი იყო რუსეთის ხალხისთვის, ეს მოხდა მისივე დაუდევრობით, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მტერმა თავის დამთრგუნველი იარაღი ხელთ მოგვცა, ეს გახლავთ: გამოცდილება, კეთილ-გონიერება, ეკონომიური აღორძინება და თავისუფალი მრეწველობა, ურომლისოდაც ყოველი მხარე დღევანდელ ცხოვრების პირობებში მხოლოდ პირველ ყოფილ ქვეყნად ჩაითვლება.

## სიკვდილის გზაზე.

**(წერილი მოწინავე პოზიციებიდან).**

... ყუმბარები ჩვენს გვერდით სკდებოდა. ვფიქრობდით, ჩვენი არტილერია თუ ესვრის მტრის ჰაეროპლანებს, რომელნიც ამ ბოლო დროს თავს გვაბეზრებდნენ და კანტი-კუნტად ხან სად გამოჩნდებოდნენ და ხან სადა. მაგრამ ეხლა კი შევცდი. დამახასიათებელ სტვენაზე მივხვდი, რომ ეს მტრის შრაპნელის სისინი იყო. უეჭველია, გერმანელები კვლავ შაველის რაიონს ესტუმრნენ და საიერიშოდ მოემზადნენ.

სწრაფად გადავედი და დავეშვი უფროსის ბინისაკენ, იქ უკვე ყველა ფეხზე იდგა. აქვე მოსულიყვნენ მახლობელ სოფლებიდან გამოქცეული გლეხ-კაცობა. ყველანი გრაფის სასახლის სქელ კედლების ქვეშ შველას ითხოვდნენ.

პარკში გამოსვლისას ხველებმ დამაწყებინა. შევნიშნე, რაღაც მომწვანო ბურუსი კუშ-კუშად მიწას ეფინებოდა. სუნთქვა გამიძნელდა. თვალებმა ცრემლვა დამიწყო. ამასობაში გაზმა შენობაშიც შემოატანა. შინ მყოფნიც იმავე საშინელ წვას განიცდიდენ, რასაც მე. ჯერ ვფიქრობდით, ალბად მახლობლად გამსკდარ შრაპნელების საქმეა,

მჴროლავ გაზს იქიდან გამოუშვებდნენო...

პარკში შემოჭრილი მუშები მთვრალ ხალხსა ჰგვანდნენ. ქარმა დაუბერა. სუნთქვა გაადვილდა. ყუმბარებმაც იშვიათად დაიწყეს ხეთქვა.

ამ დროს ერთი ცხენოსანი მოიჭრა ჩვენს წინა პოზიციებიდან და ამბავი მოიტანა, რომ დიდძალი ხალხი გაწყდა მჴროლავი გაზებითაო. გადავწყვიტე, სწრაფად ვწვეოდი დასახმარებლად. მალე მთელი რაზმი გაეშურა ნაჩვენებ გზისკენ. სურათი მეტად შემაძრწუნებელი იყო..,

ჩვენმა სანიტარებმა დიდძალი დაზნედილი ხალხი გაჰზიდეს ავტომობილებით. ბევრი აფიცერიც ურევია. მდგომარეობა მათი აუწერელია. აი ერთმა აფიცერთაგანმა როგორ ასწერა გაზის ამბავი... ღამის 3 საათზე გერმანელებმა ძლიერი არტილერიის ცეცხლი გამოაჩინეს. შემდეგ ჩვენსკენ მქროლელი მცირეოდენი ქარით ისარგებლეს და უეჭველია, განსაკუთრებულ რეზერვარებიდან რეზინის მილებით გამოუშვეს მჴრჩოლავი გაზი, რომელიც მწვანე-ყვითელი ღრუბლებივით ნელ-ნელა მოედინებოდა ჩვენსკენ. გაზის სიძლიერე იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ყანა სულ გადაიტრუსა, ხეები გაყვითლდნენ, ფოთლებმა ცვენა იწყეს, ხოლო პატარა ბუჩქები, თითქოს მოუწვავთო, ისე გამოიყურებოდნენ ფოთლებ მოცვივნული. ცხენები, ძროხები სწრაფად ცვივდებოდა. მაგრამ ყველაზედ შემზარავი იყო ჯარის კაცთა წამება...

აი ასეთ დასუსტებულ ჯარისკაცებზ მოჰქონდათ გერმანელებს იერიში..“ (დენი).

## ჩვენი ცხოვრება

**სოფლის შთაბეჭდილებები.**

გაფეთებული გავვარდი ვაგზალზე და მისვლისათანავე დავეკითხე პირველ შეხვედრილ მოსამსახურეს:

— მატარებელი ხომ არ წასულა?

— რომელი?—მკითხა მან: კნიაზებისა?

— დიახ კნიაზებისა—მიუგე მე.

— არა, გუშინ მთვრალი ჩამოვიდა კახეთიდან და ჯერ არ გამოფხიზლებულა—მომიგო მან სიცილითა...

ბილეთი ავიღე. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ პირველი ზარი ჩამოჰკრეს და მგზავრები ბაქანზე გავედით. ყველა ალტაცებით იყო, ყველას სადღესასწაულო, ნეტარი ღიმილი უკრთოდა ბაგეზე.

— „ჰეჰეი, დიდება შენდა ღმერთო“—ამბობდა ერთი: ამასაც მოვესწარით, რომ კახეთში რკინის გზით მივდივართ?!—„კაცო, რათ აგვიანებენ“— კითხულობდა მეორე:—„კამეჩები არ მოურეკნიათ“—მიუგებდა მესამე.

— „არა, აბა შენ?“—გაიმეორებდა მეორე:—„არა, ტაბიკი გაუტეხია კამეჩებსა და ბიჭი გააქციეს ღელეში ტაბიკის მოსაჭრელად“... და ვინ იცის კიდევ რას არ ამბობდნენ.

ბოლოს გველირსა და დაიძრა მატარებელი. ღმერთო ჩემო, წინად სად იყო ამდენი ხალხი! ნუ თუ ყოველ დღე წინად ამდენი მგზავრები მოდიოდა კახეთში. ბილეთები რომ არ ეყოთ, ბევრი დარჩა კიდეც უკან...

ამ მატარებელმა მშვიდობიანად ჩამიყვანა სოფელ კაკაბეთამდე. შევედი სოფელში. ყველამ დამაყენა, ყველამ გამომკითხა, თუ როგორა ვარ და მერმე საიდუმლოდ ჩამეკითხა: „რა ამბავია ქალაქში, რას ამბობენ ომისას, არ უნდა შევრიგდეთო? აქ აგეთი ხმა გამოვიდა: ვითომ გერმანიის ხემწიფე შეჰხვეწებია ჩვენ ხემწიფეს, შევრიგდეთო, მაგრამ ჩვენ ხემწიფეს უარი უთქვამს: რაკი ამდენი ხალხი ჩამახოცინე და ამდენი ზარალი მიყავ, ეხლა ბოლომდე უნდა მივიყვანო საქმე და სულ გავანთავისუფლო ჩემი სახელმწიფო განსაცდელიდანო“. ზოგი კიდევ სხვანაირს კითხვას მაძლევდა: „გაზეთებსა ჰკითხულობ და გეცოდინება, როდის გათავდება ომი? ახ, ნეტავ კი მალე გათავდეს! აქ მოიტანეს ამბავი, რომ ომის გათავებისას დიდი წყალობა უნდა გამოვიდეს ხალხზე ხემწიფისგანაო“...

*
* *

მეორე დღეს დღეობა იყო ჩვენს სოფელში. ამ დღეობას თელეთობას ეძახიან. წავედი დღეობაში. მინახავს ეს დღეობა წინადაც, მაგრამ რა შედარება იყო ეხლანდელსა და მაშინდელს შორის! ეს დღეობა მთაზეა და სულ გაკუნწლული იყო ხოლმე ეს მთა წინად ხალხით. ეხლა კი თითებზე ჩამოითვლებოდა ხალხი.

ხალხი შეფენილი იყო გორაზე, საიდანაც მოისმოდა დაირის ხმა. დაბლა ხალხის წინ კი ერთი მოხუცი დედაკაცი ჩამომჯდარიყო დირეზე და ტიროდა. დამეინტერესა, რათა ტირის მეთქი და გამოვეხმაურე:

— რათა სტირი, დედი?

—როგორ არ ვიტირო, შვილო, ქვეყანა დღეობაში მიდის სამხიარულოდ და ჩემი შვილი კი, ვინ იცის, რა გაჭირვებაშია...

— მერე?—ვკითხე მე, წერილი არ მოგდის?

— როგორ არა, შვილო, აი ორი კვირის წინადაც მომივიდა და ეხლაც აქა მაქვს.

ცნობისმოყვარეობამ წამძლია და დავეკითხე:

— შეიძლება, დედი, ვნახო, რას იწერება შენი ვაჟი?

— როგორ არა, შვილო, აჰა, ხმამაღლა წამიკითხე?

— დედაკაცმა ამოიღო უბიდან თავისი ვაჟის წერილი და დიდის მოწიწებით გადმომცა. მეც აუსრულე თხოვნა და ხმა მაღლა წაუკითხე. ამ წერილში სხვათა შორის ეწერა:

„მე ძალიან კარგათ ვარ და მხოლოდ შენი დარდი მაქვს. სულ იმასა ვფიქრობ, არავინ არ დაუშაოს რა ღვთის ანაბარად დარჩენილს მეთქი. კიდევ ესა მაქვს სამწუხარი: შენ დარდიანად იქნები ჩემზე, მაგრამ ნუ იდარდებ, მე არა მიშავს რა, რამდენჯერმე გავედი ბრძოლაში და კარგათ გადავრჩი. მე ისეთნაირად ვატყობ, რომ ამ ომში სიკვდილი არ მიწერია, ამიტომ ნუ იდარდებ!!. ბოლოში კიდევ შინაურ საქმისას სწერდა: „ჭიკაძიანთ ილიას უთხარი, ჩემი მიწა ნათთხალზე მოხნას, სვინდისიანად მოიქცეს და თუ კაცი ვარ, როცა ჩამოვალ, სიკეთეს გადაუხდი“-ო...

წაუკითხე ბოლომდე შვილის წერილი დედასა და დაუბრუნე. დედამ დიდის მოწიწებით დაჰკეცა და ისევ უბეში ჩაიდო.

შემდეგ ავედი თვითონ დღეობაში. ხალხს ის ხალისი და სიცოცხლე აღარ ეტყობოდა, წინად რომ ჰქონდა. სიმღერის ხმა იშვიათად გამოისმოდა, და თუ გამოისმოდა საიდანმე, ეტყობოდა, რომ სრულიად უაღგილო და უფერული იყო. ყველას სუფრაზე ხშირ-ხშირად ისმოდა: „ღმერთმა აღდეგრძელოს და მშვიდობით მოიყვანოს ჩვენი მეომრებიო“. თითქმის ყველას მეომარი და ომი ეკერა პირზე.

ერთგან ხალხი ვიღაცას ეხვეოდა. მივედი და ვნახე: ერთი დაჭრილი ჯარის კაცი ახლად ჩამოსულიყო ბრძოლის ველიდან და იქაურ ამბებს უამბობდა ხალხს.

— მაშ ჩვენები სჯობნიან?—ჰკითხა ერთმა მოხუცმა კაცმა ჯარისკაცს.

— არ შეიძლება ეგრე ვთქვათ, რომ ჩვენა ვჯობნით: ხან ჩვენა ვჯობნით და ხან ისინი. სადა მე ვიყავ, იქ ეგრე იყო და სხვაგან არ ვიცი...

— მაშ ჩემი ბიჭი და შენ ერთად იყავით?—ჰკითხა მოხუცმა დაჭრილ ჯარისკაცს,—შენა სთქვი წელან: ერთად ვიყავით მე და შენი შაქროვო.

— დიახ, ერთად ვიყავით, მაგრამ მალე დავშორდით.

— მერე, არ მეტყვი, სანამ ერთად იყავით, როგორ იყო: ხომ კარგად იყო, ან რა გუნებაზე იყო ომის დროს?

— ომის დროს კი აბა ერთმანეთის გუნებაში ჩახედვისთვის სადა გვცალიან, მაგრამ ბრძოლის დაწყებამდე კი ძაან კაი გუნებაზე ვიყავით ხოლმე: ერთმანეთს სიცილითა ვხოცავდით. ბრძოლის შემდეგაც რო შევხვდებოდით ერთანეთს სიცილით და გაკვირვებით ვკითხავდი ხოლმე, მე იმასა და ის მე: ბიჭო, ისევ ცოცხალი ხარ, ჯერ არ მოგკლესო?!

— მაინც ხომ არა შიშობდა?—ჰკითხა კიდევ მოხუცმა.

— არა, ისე ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ყოჩაღობაში, როგორც ჩვენს პატარაობაში რიკის გატანაში ვეჯიბრებოდით ხოლმე ერთმანეთს.

მოხუცს სიამოვნების სხივმა გადაჰკრა და ბოლოს მაინც დადარდიანებულის ხმითა ჰკითხა:

— მაშ როგორ დაშორდით? როგორ იქნება იმისი საქმე? ხომ არ მოჰკლავდნენ... ნეტავ კი იმის მშვიდობიანად ჩამოსვლას შემასწრო და! ღმერთო! ღმერთო!

— სანამ თხრილებში ვიყავით, დაიწყო ჯარის კაცმა,—ერთად ვისხედით და მხიარულადაც ვიყავით. ბოლოს ძალიან დაგვიშინეს ტყვია და თან მოიწიეს ჩვენკენ. ჩვენმა უფროსმა გვიბრძანა, „შტიკზე“ მიდითო და ჩვენც ჩვენებურად შემოვიკალთავეთ და გავიქეცით. შაქრო და მე ერთად გავრბოდით მტრისკენ, მაგრამ უცბად საშინლად რაღაცამ იფეთქა ჩემს გვერდით და მერე სხვა აღარა მახსოვს-რა. მხოლოდ ისღა დავინახე, რომ შაქრო ისევ მირბოდა.

— მაშ, როგორა გგონია—კიდევ ჰკითხა მოხუცმა ჯარის კაცს: როგორ იქნება იმის საქმე? ცოცხალი იქნება, თუ რა ვიფიქროთ.

— მე ვიცი, რომ მოკლული არ არის და არც დაჭრილია,—მე ეს კარგა გაგავიგე და მგონია, რომ ტყვედ უნდა იყოს.

მოხუცი ნაწყენივით დაღონდა და შემდეგ დაუმატა:

— ხომ მარჯვედ ისროდა?

— სხვა დროს მუდამ გულადი იყო და მარჯვეთაც იბრძოდა, მაშინ კი როგორი იქნებოდა არ ვიცი.

— არა, მე მგონია ის ტყვედ არ ჩაუვარდებოდა მტერს. მაგრამ ეჰ! ამოიოხრა მოხუცმა: მშვიდობით კი დაბრუნდეს შინა და!

მე გამიკვირდა ქართველი გლეხისაგან ასეთი სურვილი ვაჟკაცობისა და რაინდობის გამოჩენისა. მართალია მას უნდოდა თავისი შვილის მშვიდობიანად გადარჩენა, მაგრამ **სიკვდილზე უფრო ძაან ეწყინებოდა, მისი სილაჩრე** რომ გაეგო, ამიტომ გადაჭრით იძახდა, ჩემი შვილი მტერს ტყვედ არ ჩაუვარდებოდაო.

**ი. მჭედლიშვილი.**

(დასასრული იქნება)

## მცირე შენიშვნა

ფრიად საყურადღებო საგანს შეეხო ბ-ნი ილ. ალხაზიშვილი „სახ. ფურც.“ № 291-ში. ეს გახლავთ დღემდე ჩვენებური დაუდევრობით მივიწყებული ქართული სახელმძღვანელოების შედგენა. ჩვენ ყოველთვის ჩვენი უბადრუკობის მიზეზებს გარეშე პირობებში ვხედავთ, დამნაშავეებს სხვაგან ვეძებთ და ჩვენს ეროვნულ საქმეებისადმი მომაკვდინებელ გულგრილობას ამით ვამართლებთ. განა „მომაკვდინებელი“ და სამარცხვინო არ არის ის გარემოება, რომ მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ ქართული სახელმძღვანელოების საჭიროებას, როდესაც თვით უმაღლესმა მთავრობამ „გვიბოძა წყალობა“ და მშობლიურ ენაზე საგნების სწავლების ნება დაგვრთო. განა დღემდე, მიუხედავად ყოველგვარ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, ამ მხრით არაფერი უნდა გაკეთებულიყო?! განა ამ დაბრკოლებებს კიდევ უფრო არ უნდა გაეცხოველებინა ჩვენში ბუნებრივ თვითდაცვის ინსტიკტი? და თუ ქართველებში იქნებოდა სალი ეროვნული აღზრდის მოთხოვნილება, მაშინ ხომ სასწავლებელთა დეფექტები ჩვენს საზოგადოებაში და ოჯახებში შეივსებოდა და გამოსწორდებოდა. ასეთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კი, ცხადია, შესაფერი სახელმძღვანელოების გაჩენაც უფრო მოსალოდნელი იყო. ხოლო ამით, რასაკვირველია, მაინც ვერ გავამართლებთ იმ კულტურულ დაწესებულებათ და საამისოდ მომზადებულ შეგნებულ პირებს, რომელთაც ვალად სდოთ ამ საქმის გაკეთება და დღემდე ამ დარგში წ.-კ. საზ. სკოლებში და სხვაგანაც არსებული მცირედი მოთხოვნილება მაინც უნდა დაეკმაყოფილებიათ. სხვათა შორის ამ გვარმა მოთხოვნილებამ ბაქოს ქართული სკოლის მასწავლებელნი გვაიძულა გვეფიქრა ჩვენი სუსტი ძალით შეგვედგინა ბუნებისმეტყველების ქართული სახელმძღვანელო პირველ-დაწყებით სკოლისათვის. სწორედ იმ ხანებში გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ ასეთი სახელმძღვანელოს შედგენა უკისრია წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის სასკოლო სექციის წევრს ბ-ნ იაშვილს. ამ ცნობით დაიმედებულნი ჩვენც ხელი ავიღეთ განზრახვაზე, რადგან დარწმუნებული ვართ, ბ-ნი იაშვილი ამ საქმეს ჩვენზე უკეთ შეასრულებს. სასურველია მხოლოდ ყველა საჭირო სახელმძღვანელოების შედგენა არ დავაყოვნოთ და დროზე მოვახერხოთ. წ.-კ. საზ. გამგეობას მართებს საჭირო უნარის გამოჩენა, რომ ძალთა მობილიზაცია მოახდინოს და საქმეს დაუყოვნებლივ შეუდგეს.

**მ. კაკაბაძე, ილ. გოგია.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### მაზანდა თბილისის ბაზარზედ

**30 მაისს** თბილისის ბაზარზედ გაიყიდა:

| | |
|---|---|
| ბალი თეთრი | 4 მ. |
| ალუბალი | 4 მ. |
| ატამი | 6 მ. |
| ტყემალი | 2 მ. 50 კ. |
| **31 მაისს** | |
| თეთრი ბალი | 4 მ. |
| ალუბალი | 4 მ. 50 კ. |
| ტყემალი | 2 მ. 40 კ. |
| **1 თიბათვეს** | |
| ალუბალი | 4 მ. 50 კ. |
| ატამი | 6 მ. |
| ტყემალი | 2 მ. 60 კ. |
| ბალი | 6 მ. |
| ხენდრო | 12 მ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. 13 წ. დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ 40 „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ | 8 „ 58 „ „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 06 „ „ |
| ივრიდან | 21 „ 15 „ „ |
| საგარეჯოდან | 11 „ 58 „ „ |
| ბადიაურიდან | 12 „ 56 „ „ |
| მელაანიდან | 2 ს. 16 წ. სად. |
| გურჯაანიდან | 3 „ 37 „ „ |
| კარდენახიდან | 4 „ 12 „ „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ 44 „ „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | |
|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. 42 წ. სად. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 33 „ „ |
| თელავში | 5 „ 27 „ „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | |
|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. 58 წ. დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ 41 „ „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 24 „ „ |
| მელაანიდან | 11 „ 39 „ „ |
| ბადიაურიდან | 12 „ 59 „ დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ 80 „ „ |
| ივრიდან | 2 „ 50 „ „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 55 „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 58 „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ | 5 „ 13 „ „ |
| თბილისში | 5 „ 28 „ „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | |
|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 54 წ. დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 25 „ „ |
| გურჯაანში | 10 „ 07 „ „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | |
|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. 55 წ. სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. სად. |
| № 10 ბათომიდან | 9 ს. 51 წ. დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს 53 წ. სად. |
| ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ დღ. |

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—8

# საკომისიო კანტორა

**ი. ტ. გვათუასი**

**თბილისი, ვერის დაღმართი, № 1. ტელეფ. 17-05**

**რეგისტრაცია** თავისუფალ ბინისა; **გადაწერა და სწავლა** საწერ მაშინაზე; **მიცემა ცნობისა** ყოველგვარ დაწესებულებიდან; **შუამავლობა** უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვისა, დაგირავებისა და იჯარით გასაცემად; ვკისრულობთ ყოველგვარ საკომისიო საქმეს ქალაქელთა და ქალაქ გარეშელთაგან.

**მოხდომებილებას** სწრაფად და პირნათლად ვასრულებთ. (8—6—3)

**წ ი გ ნ ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა**

# „ახალი სიტყვა“

(„**НОВАЯ РѢЧЬ**“.)

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—7)

მ ე ხ ი ლ ე თ ა  ა ძ ხ ა ნ ა გ ო ბ ა

# „ქ ა რ თ ლ ი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

## თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

# „სამშობლო“

(გამოდის ქუთაისში)

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

**გ ა ზ ე თ ი  ღ ი რ ს:**

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“**. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. [illegible]ძე.

ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან